

დადგენილება N029487

ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

6 თებერვალი 2024 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის იურისტი გულინა კუნჭულია

2. საქმის განხილვის თარიღი: 2024 წლის 6 თებერვალი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ლამა სხულუხია პ.ნ 62009000566 მცხოვრები ზუგდიდი, ბარამიას 7 კორპუსი 11 აბონენტის ნომერი 1116984508

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

ფიზიკურმა პირმა ლამა სხულუხიამ მოახდინა დავალიანების გამო შეწყვეტილი ბუნებრივი აირის თვითნებური ჩართვა განმეორებით, შესაბამისად ადგილი ჰქონდა ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებას.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილით, 200, 228<sup>2</sup>, 236-237, 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12 და 2010 წლის 12 აგვისტოს #14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ.პ ლამა სხულუხიას პ.ნ 62009000566 დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

(სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასახელება)

7. ადმინისტრაციული ჯარიმა ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სახაზინო კოდი 302003247, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში და წარმოდგენილ იქნეს ჯარიმის გადახდის ქვითარი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყდება გაზმომარაგება და დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ქ. კუნჭულია